განკარგულება:**გ-49. 49241523**
თარიღი:**31/05/2024**

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N159 (გ-49.49233612) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482414926; 28/05/2024) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენდა 18 ერთეულს. ამასთან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტს შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ესაჭიროება 4 საშტატო ერთეულის - 1 კოორდინატორის, 1 კოორდინატორის ასისტენტისა და 2 ტექნიკური მენეჯერის ერთი თვის ვადით დამატება, რასთან დაკავშირებითაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან ითხოვს გამონაკლისის შეთანხმებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N159 (გ-49.49233612) განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 3 კომისიებში მოწვეული სპეციალისტისა და 1 საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 1 ფსიქოლოგის, 3 კონსულტანტის, 1 მერის მდივნის, 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში ერთი წლის ვადით მიღების

(ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების) შესახებ, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში 1 კოორდინატორის, 1 კოორდინატორის ასისტენტისა და 2 ტექნიკური მენეჯერის ერთი თვის ვადით მიღების შესახებ“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი